ერთვნულო თავისუფლების გზით — პირველნულო თავისუფლებისაკენ
პირველნულო თავისუფლების გზით — ერთვნულო თავისუფლებისაკენ

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს

№ 35 (1436) | 31 ოქტომბერი 1995 წ.

ხმა მიეცით პატიოსნებას, ნიჭს, პატიოსანლიზმს, მამულიშვილობას! ხმა მიეცით ოღალაფობას, სიყვარულს! ხმა მიეცით საქართველოს უფლის მფარველს!

ან

ხმა მიეცით

„რესპუბლიკელებს!"

52

„გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ყველაზე თანამიმდევრული და მძლავრი მხარდამჭერია დამოუკიდებლობისა, დემოკრატიისა და თავისუფალი საბაზრო რეფორმებისა საქართველოში"
— ასე ახასიათებს „რესპუბლიკელებს" სოლიდური პოლიტოლოგიური ჟურნალი „Uncaptive Minds", რომელსაც გამოცემს ამერიკული ინსტიტუტი დემოკრატიისათვის აღმოსავლეთ ევროპაში.

რა გვიკეთებია

„რესპუბლიკელების" მიერ შეიქმნა არაერთი კანონისა და დადგენილების პროექტი, რომელთა ნაწილიც უცვლელად, ხოლო ნაწილი პოლიტიკური შეთანხმების შედეგად მიღწეული ცვლილებებით, მიღებული იქნა 1989—1995 წლებში. მათგან უმნიშვნელოვანესია:

— 1989, 1990, 1991, 1992, 1995 — კანონები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ;

— 1989 წლის ოქტომბერი — შესწორებები საქართველოს სსრ კონსტიტუციაში, რამაც შექმნა საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის კონსტიტუციური მექანიზმები საბჭოთა კავშირის სისტემაში;

— 1990 წლის გაზაფხული — კომუნისტური უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებები, რომლებითაც აღიარებულ იქნა 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია, და ბათილად იქნა ცნობილი ოკუპაციის შედეგად მოსული ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები, რითაც სამართლებრივი საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას;

— 1991 — კანონები „მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ", „პოლიტიკურ პარტიათა შესახებ";

— 1992-1995 — კანონპროექტები „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ", „აფხაზეთის სტატუსის შესახებ", „განათლების შესახებ", „მინისტრთა კაბინეტის შესახებ";

— არ ყოფილა არცერთი კანონპროექტი, რომლის გაუმჯობესებაშიც წვლილი არ შეეტანათ „რესპუბლიკელებს";

— განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „რესპუბლიკელების" წვლილი საქართველოს კონსტიტუციის შეჯუმავების პროცესში. რესპუბლიკური პარტიის მიერ წარდგენილი კონსტიტუციის პროექტის დიდი ნაწილი აისახა მიღებულ კონსტიტუციაში და მისი საბოლოო სახე მნიშვნელოვნად განაპირობა საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების" პოზიციამ.

რას გავაკეთებთ

დამოუკიდებელი საქართველო არის ქართველი ერის ღირსეული არსებობის ერთადერთი ფორმა.

საქართველოს ერთიანობას, თავისუფალ განვითარებას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მისი ეკონომიკური სიძლიერე და სხვა ქვეყნებთან მხოლოდ თანასწორუფლებიანი ურთიერთობა.

საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის, მისი ოთხოელული მოქალაქის ოვითგამოვლენისა და განვითარების უცილობელ პირობას წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფო წყობა და სამოქალაქო საზოგადოება.

კერძო საკუთრების დამკვიდრება, მეწარმეობის განვითარება, კონკურენტული გარემოს შექმნა, გადასახადების სახეობათა და განაკვეთების შემცირება, შრომის სამართლიანი ანაზღაურება პირდაპირი გზაა კეთილდღეობისაკენ.

კანონის ზეობა, ქვეყანაში წესრიგის დამყარება, დანაშაულთაოვის სასჯელის გარდუვალობა აუცილებელი პირობაა სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისა და თითოეულის ჩვენთაგანის ღირსეული არსებობისა.

ქართული ძალა — ძლიერი ეკონომიკა, გაწვრთნილი ჯარი და პოლიტიკური ნება არის აუცილებელი პირობა წარომეული მიწების დაბრუნებისა. მხოლოდ პოლიტიკური და სამხედრო საშუალებების ერთობლივი გამოყენებით გადაწყვეტთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს.

წიგნიერი თაობები ერისა და ქვეყნის აყვავების საწინდარია; უფიცობა უფრო ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ვიდრე განათლებაზე გაწეული ნებისმიერი ხარჯი.

ჯანდაცვის რეფორმის მთავარი ორიენტირი პაციენტი უნდა იყოს. მკურნალობა ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს.

სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს მოხუცებზე, ინვალიდებზე, არასრულ და მრავალშვილიან ოჯახებზე, უმუშევრებზე; მათი ყოფისადმი დამოკიდებულებაში გამოიხატება სახელმწიფოს ღირსება.

ვინ შეუწყო ხელი არძინბას და მის ხროვას დანაშაულის ჩადენაში?

25 ოქტომბერს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილემ ანზორ ბალუაშვილმა პრეს-კონფერენცია გამართა, რომლის ძირითად საკითხს აფხაზეთში ქართველთა გენოციდის და სხვა დანაშაულებების გამოძიების შედეგების გაცნობა შეადგენდა.

ჩატარებული გამოძიების შედეგად მოკვლეული მასალების შესახებ ისაუბრა ბატონმა ანზორ ბალუაშვილმა: დადგინდა აფხაზ სეპარატისთა მიერ ქართველთა გენოციდი. აფხაზები უდანაშაულოდ ელეტდნენ ქართველ მოსახლეობას. აუპატიურებდნენ ქალებს და ბავშვებს, იყენებდნენ ქართველების მიმართ სეპარატიზმის ფაშისტურ დოქტრინას.

60-იანი წლებიდან მაღალი თანამდებობის პირთაგან ჩამოყალიბდა ექსტრემისტთა ჯგუფები. სეპარატისტთა იდეოლოგი ალექსი გოგუა ამტკიცებდა, რომ აფხაზეთი საქართველო არასოდეს ყოფილა. გამოძიებით დადგინდა, რომ ლომის წილი ქართული მოსახლეობის რბევის და გენოციდის საქმეში „აიდგილარას“ მიუძღვის. ისინი 1990—92 წლებში ქმნიდნენ შანტაჟზე და დემაგოგიაზე აგებულ ცილისწამებებს ქართველ ხალხზე. „ქართველები აფხაზებს სისხლს სწოვენ და თბილისში ეზიდებიან“. მტრობის და შურლის პროპაგანდამ შვა ის იდეოლოგია, რომელმაც აფხაზეთის ტრაგედია მოამზადა.

გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ მოსკოვში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩეჩნეთში შეიქმნა პუნქტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ დაქირავებულ მკვლელთა შევსებას აფხაზეთში. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდია სოსლანბეკოვისა და შანიბოვის როლი მათ წინააღმდეგ საქართველოს პროკურატურის თხოვნით, რუსეთის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, თუმცა მერე შეწყვიტა.

ქართველთა გენოციდს სეპარატისტები წლების განმავლობაში ამზადებდნენ, რომ კავკასიაში ფუნდამენტალისტური სახელმწიფო შეექმნათ. მოკლულია 6500 ადამიანი და დასახიჩრდა 20 ათასი.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, ქართველების ღალატის შესახებ რას იტყოდით, ბატონმა ანზორ ბალუაშვილმა უპასუხა: ქართველთა გენოციდში სეპარატისტებს ხელი შეუწყო სახელმწიფოდან გაქცეულმა ექს-პრეზიდენტმა და ოფიციალურ სტრუქტურებში მოსულმა სახელმწიფო პირებმა.

ბატონმა ბალუაშვილმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღიარეს აფხაზების მიერ ქართული მოსახლეობის გენოციდის და ეთნიკური წმენდის ფაქტები.

ნინო ზამთარაძე

ПУРИ, ТЕРРОРИЗМИ ДА ФАНТАЗИА

ედუარდ შევარდნაძის პრეს-კონფერენცია

ედუარდ შევარდნაძე საერთოდ არ ანებივრებს ხოლმე ჟურნალისტებს სეანსები ჟურნალებით. არც არავის წასალისება ჩვენია და არც „ნოგა-ზაგვიანი „დაჩუქული ექსკლუზივების“ გაგზავნა „ურმ“ რედაქციებში. მას ჰყავს თავისი. ნახევრად ოფიციალური, ნახევრად ოფიციოზური ეკიპირებები — ნატო ონიანი და შიგადაშიგ კოკა ყანდიაშვილი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ჟურნალისტებისაკენ მეთაურთან tet-a-tet შეხვედრა არც ისე მრავალჯერადია. პარტნიორულ ატმოსფერულ რიტორიკაში გაწაფულ შევარდნაძეს შეუძლია საათნახევარი ილაპარაკოს და არაფერი თქვას. მაგრამ 21 ოქტომბერს, სახელმწიფოს მეთაურმა უდიდესი ტრადიციას და ფრიად საინტერესო პრეს-კონფერენცია გამართა. ჟურნალისტებმა თუ შეიძლება ასე ითქვას. არაერთი საგულისხმო ინფორმაცია მიიღეს შემდგომი განსჯისათვის.

პრეს-კონფერენციაზე ედუარდ შევარდნაძემ საზოგადოებას აცნო, რომ იგი აღარ გაემგზავრება გაეროს გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიაზე მდგომარეობის შესაძლო დესტაბილიზაციის გამო. ორი დღით ადრე მოქალაქეთა კავშირაც გააფრთხილა განცხადება. სადაც სკკ-ს მთავარი საბჭო თხოვდა სახელმწიფოს მეთაურს გადაედო ნიუ-იორკში ვიზიტი.

შევარდნაძის წასვლელობის საბაბი, როგორც „ეკო“ ვიქნეთ, დესტრუქციული ძალების მიერ ახალი პროვოკაციის შესაძლებლობაა: არ არის ცნობილი 29 აგვისტის ტერაქტის დამკვეთი. ივან იგორ გიორგაძეც არ გადმოუცია, თავისუფლად დასეირნობს ქვეყანაზე და კაცმა არ იცის, იქიდან რას ისმენდრებს... როგორც შევარდნაძე განუცხადა ჟურნალისტებს, მას ეგონა, რომ ნიუ-იორკში გამგზავრებამდე გიორგაძე უკვე საქართველოში (უნდა ვიგულისხმოთ — „ჯოჯერაში“) იქნებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს ამ ტერორისტს რუსეთში გაელენინი ძალები მფარველობენ. რუსეთის საათანადო სტრუქტურები კი სახელმკრულებო ვალდებულებებს არ ასრულებენ...

სახელმწიფოს მეთაურმა, როგორც კი გიორგაძის მფარველებზე დასძრა ხიტვა, და მათ ძალიან სტრუქტურებსაც გაჰკრა ეხლი, ეუნდ ვინმეს ანტირუსულ გამოსტეტაში არ ჩაბოვალოთ. ბაბინდ ოიტა ადაგლა ნეკი დიდი შესიბლის „დემოკრატიულ ხელისუფლებასა“ და პირადად ბორის ელცინის მიმართ. „ვერ დავიჯერებ, ელცინმა იცოდეს, რა მასშტაბის ტერორისტია გიორგაძე და ჭეშმარიტ ზიანებს არ ლებულობდეს“ — განაცხადა შევარდნაძემ და იქვე დაუმატა: „ალბათ ჩვენი ბრალია. სწორი ინფორმაციას ვერ მივაწოდეთ“.

სახელმწიფოს მეთაურმა საკმაოდ მწვავე რეაგირება მოახდინა თავდაცვის მინისტრის, ვარდიკო ნადიბაიძის განცხადებაზე — კერძოდ, ბ-ნ ვარდიკოს თქმით, უნდა შეიქმნას ამერკავკასიის საშუალო კოალიცია, რომელიც შემდგომ შევა დსთ-ს მომავალ საშუალო ბლოკში. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მან „არ იცის, რა თქვა მინისტრმა“. მაგრამ იგი ყოველგვარი ბლოკების სასტიკი წინააღმდეგია. „ეს ნიშნავ ახალი ციკლის“ დასაწყისი... იქვე ვითომდა სხვათა შორის, ისიც გაიხსენა, ბაზების რატიფიკაციას რომ პარლამენტის ნებართვა ჭირდება...

მოკლედ, სახელმწიფოს მეთაურის პრეს-კონფერენციამ ალაგ-ალაგ პროტესტული „საკმაზების“ მიუხედავად, საკმაოდ მწყობრად გაიარა. ის, რომ ელცინმა შეიძლება არ იცოდეს, რა „ჩიტია“ გიორგაძე, ისევე ახლოა სიმართლესთან. როგორც ის, რომ შევარდნაძემ არ იცოდეს.. რა განცხადებებს აკეთებს ვარდიკო ნადიბაიძე. ნიუ-იორკში წასვლასზე დემონსტრაციული უარი ერთგვარი დემარშია, რომლითაც სახელმწიფოს მეთაური ცდილობს ერთის მხრივ დასავლეთის ყურადღების მიპყრობას. მეორეს მხრივ. რუსეთის ხელისუფლებაზე პედალირებას „გიორგაძის საკითხში“. მესამე მხრივ. წინასაარჩევნო ფონის შექმნას. რუსეთთან ურთიერთობის შესაძლო გაფუჭების მაჩვენებელია თავდაცვის მინისტრის. განცხადებაზე რეაქციაც. შევარდნაძის „ანტიბლიცური პოზიციაც“ — რა იმდენად ბ-ნ ვარდიკოს (რომელიც ამ შემთხვევაში „ურმი“ მედიების როლს ასრულებს). არაპირდ „რუსეთის პრეზიდენტის“ ბოლოდროინდელ განცხადებებს ეწინააღმდეგება. რიტორიკულ დითირამბებს ჩრდილიელი მეზობლებისადმი — უხეშად რომ ვთქვათ, „არავინ ჭამს“. მითუმეტეს ის, ვისი მისამართითაც აღიარება სამადლობელი 150 ტ. სათესლე ხორბალის გამო. თუმცა ყველაფერი შეიძლება დიამეტრალურად შეიცვალოს. გაჩნია კონიუნქტურას. თუკი შევარდნაძემ ვერ იგრძნო ენერგიული და ჭეშმარიტ მხარდაჭერა დასავლეთიდან თუ ადგილობრივი პოლიტიკური ძალებიდან, იგივე „საშუალო ბლოკი“ დსთ-ს ფარგლებში უკვე გაჩნდა „ქართული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარანტი“. ამგვარი „სალტო-მორტალეები“ შევარდნაძესთვის უცხო არ არის.

ამჟამად კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მიუხედავად ინტერპოლში აპელაციისა. ძნელი წარმოსადგენია, რუსეთის ხელისუფლებამ იგორ გიორგაძე ბოლომდე გაწიროს“. ის კი არა, სათესლე ხორბალიც ჯერ მარტო ქალაქდზეა. თუმცა პური შეიძლება ჩამოვიდეს. „ქართული ტერორიზმის მეტრის“ გადმოცემა კი ჯერჯერობით — ფანტაზიაა. ანუ კეთილი სურვილი...

ჯანო ქართველიშვილი



წინასაარჩევნო კალმასობა დასავლეთ საქართველოში

კანდიდატის ჩანახატი

ივლიანე ხაინდრავა



ეჰ, არჩევნების პროცედურას რა ვუთხარი, თორემ საარჩევნო კამპანიას, აბა, რა სჯობს! გინდა — არ გინდა მიგატოვებინებენ შენს საკუთარ საარჩევნო ოლქს, სადაც სულ რაღაც 49 კონკურენტი გყავს და გაგიშვებენ სამოგზაურად ქვეყნის მთელ სიგრძე-სიგანეზე. რას არ ნახავ ამ მოგზაურობის დროს, რას არ გაიგებ, ვის არ შეხვდები და ვის არ შეხვდები. ასე, მაგალითად, თუ ერთი კვირის წინ იმით ვამაყობდი, რომ ჩემს მშობლიურ საარჩევნო ოლქში ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ერთი დეპუტატობის კანდიატი ორ ათას ამომრჩეველზე მოდის, ზოგ არც თუ დიდ და მჭიდროდ დასახლებულ რაიონში პარლამენტარობის ღირსი ერთი ცალი პოლიტიკოსი, თურმე 500—600 სულ მოსახლეზე მოდის. აბა, ვინ იტყვის ამის შემდეგ, რომ თბილისი ჭართული პოლიტიკის ცენტრია? ან, თითქოს საქართველო თავკომბალას ჰგავდეს, დედაქალაქში პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო და სხვა ძალების ჭარბი თავმოყრის გამო? როგორ გეკადრებათ, ჩვენ სამშობლოში რადენიც რაიონია, იმდენი თავკომბალაა. და კიდევ ცოტა მეტი.

სრულიად შემეცვალა აზრი აგრეთვე იმის თაობაზე, თუ რას ელის ერომრჩეველი პარლამენტარებისაგან. დამოუკიდებლობა. დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკის ფეხზე დაყენება, რეფორმები და სხვა მსგავსი საკითხები არავითარ ემოციებს არ იწვევენ. ხუთი კილოგრამი სასუქი ან შხამქიმიკატი ადვილად გადაწონის ძლიერ ქართულ საბელმწიფოებრიობას. თქმა არ უნდა, რომ ძლიერი ქართული საბელმწიფო შეიძლება ვერც შედგეს დროულად მიწოდებული ხუთი კილოგრამი სასუქისა და შხამქიმიკატის გარეშე, მაგრამ ვფიცავ ჩემს დეპუტატობას, პარლამენტში გატარებული სამი წლის განმავლობაში არც ერთხელ შევსწრებივარ ზემოხსენებული პროდუქციის დეპუტატებზე დარიგებას. არ გამოვრიცხავ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილს სასუქი ამა თუ იმ ფორმით ერგო, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ოპოზიციონერი დეპუტატებისთვისაც გეგმავდნენ შხამქიმიკატების გამოყოფას, მაგრამ რაც საკუთარი თვალით არ მინახავს, იმას არამც და არამც არ დავიჩემებ.

მოკლედ გულუბრყვილოდ მეგონა, თითქოს პარლამენტის წევრის ერთ-ერთი ზოგადი მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგადად გლეხობა საქართველოში დროულად იყოს უზრუნველყოფილი სასუქით, საწვავით, შხამქიმიკატითა და ა.შ. სინამდვილეში კი ის ყოფილა მთავარი, რომ კონკრეტულ გლეხს კონკრეტული რამე შეპირდე. გაიკეთებ ამას თუ არა არჩევნების შემდეგ, ეს ნაკლებად არის მნიშვნელოვანი, მთავარია — შეპირდე.

ქალაქელს გაზი, შუქი და წყალი უფრო აინტერესებს. თუ კონკრეტულ ქალაქელს შეპირდები, რომ მის კონკრეტულ სახლში კონკრეტული კანდიდატის დეპუტატად არჩევის შემდეგ აუცილებლად იქნება გაზიც, შუქიც და წყალიც, იგი აუცილებლად დაგიჭერს მხარს. ხოლო იმას თუ იტყვი, რომ მთელ საკუთარ ენერგიას, ცოდნას, ნიჭს და უნარს მოახმარ ქვეყანაში ისეთი ვითარების შექმნას, რომ შუქი, გაზი და წყალი ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის ხელისაწვდომი ან ფეხმისაწვდომი მაინც გახდეს, აგერ ვნახავთ რასაც მიიღებ კაცი.

კიდევ უფრო რთულია ურთიერთობა მეწარმესთან. შეახსენებ თუ არა, რომ თავს იკლავდი პარლამენტში მთელი სამი წლის განმავლობაში, რათა საგაღასახადო სისტემა მაქსიმალურად გაგემარტივებინა, ხოლო გადასახადთა განაკვეთები მაქსიმალურად შეგემცირებინა, რათა შეგექმნა და მოძრაობაში მოგეყვანა მისი სახელმწიფო და არასახელმწიფო რეკეტისაგან დაცვის მექანიზმები, რათა შეგექმნა და აგემოქმედებინა საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ბაზა მისი საქმიანობისათვის, დადებ თუ არა ფიცს, რომ მომავალშიც ამ კურსს არაფრის დიდებით არ ვადაუხვევ, ეს შენი მეწარმეც უმალ ყველაფერს გიახსენებს, მადლობას მოგახსენებს, გადაგეხვევა და თავის ხმას 5 ნოემბრის არჩევნებში სხვას მისცემს, თანაც მაინც და მაინც იმ სხვას, ვისი გადეპუტატებაც დიამეტრულად საპირისპიროს უქადის პატივცემულ მეწარმეს.

რასაც ვერ დაუკარგავ ჩვენს თანამემამულეებს ნებისმიერ რაიონში ბარსა თუ მთაში, ეს გახლავთ მასპინძლობა. სწორედ იმ გაგებით. გლეხი იქნებოდა, ქალაქელი, მეწარმე თუ სხვა, აუცილებლად ცდილობდნენ მაქსიმალურად დავეპურებინეთ და ისე გავეშვით ან ბრ გავეშვით მორიგ შეხვედრაზე. ამ თვალსაზრისითაც ძალიან კმაყოფილები ვართ და გვგონია, რომ დაგროვილი რეზერვი შესაძლებლობას მოგვცემს თავი მივიტანოთ არა მარტო 5 ნოებრის არჩევნებამდე, არამედ საჭიროების შემთხვევაში, 19 ნოემბრისთვის გათვალისწინებულ მეორე ტურამდეც კი.

თუმცა, იყო ერთი სრულიად გაუგებარი გამონაკლისიც კანონიერება-ზრდილობა-მასპინძლობის საკითხში. ერთ-ერთ კოპწია რაიონში, სადაც მრავალდღიანი გაუთავებელი წვიმების შემდეგ სწორედ ჩვენ ჩავიტანეთ კარგი დარი, მოსახლეობა სულ მთლად ყანებში გასული აღმოჩნდა ჭირნახულის დასაბინავებლად. რაღა დაგიმალოთ, ჩვენს სიხარულსაც საზღვარი არ ჰქონდა — ოღონდ ხალხს მოსავალი ჰქონდეს ასაკრეფი და სულ არ შევაწუხებთ ჩვენი პოლიტიკით, ვიდრე ბელლებსა და მარნებს არ გაავსებენ. რაკი დრო გამოგვითავისუფლდა, გადავწყვიტეთ დავსწრებოდით თამბირს გამგეობაში, რომელიც არჩევნებისათვის მზადების საკითხს ეძღვნებოდა. ოდნავ შეგვაგვიანდა და რათა „აქტივი“ არ შეგვეწუხებინა, ფეხაკრეფით შევედით დარბაზში და მოკრძალებული ადგილები დავიკავეთ ბოლო რიგებში. პრეზიდიუმში მჯდომი (მაკატიეთ — მდგომი) ერ-ერთი პასუხისმგებელი (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვეგონა) [illegible]

გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლიდური ამერიკული პოლიტოლოგიური ჟურნალი ქართველ რესპუბლიკელთა შესახებ.

აღმოსავლეთ ევროპის დემოკრატიის ინსტიტუტის (IDEE) ყოველკვარტალური ალმანახი Unceptive Minds საკმაოდ სოლიდური გამოცემაა, სადაც იბეჭდება ინფორმაციები, ინტერვიუები და ანალიტიკური სტატიები აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესებზე. ალმანახი გამოდის აშშ-ში, კანადაში, მექსიკაში, გერმანიაში, ავსტრიაში და პოლონეთში.

1995 წლის №2 ნომერში გამოქვეყნებულია ინტერვიუ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წევრებთან: ნოდარ ნათაძესთან, დავით ბერძენიშვილთან და ივლიანე ხაინდრავასთან. ქვემოთ გთავაზობთ ამ პუბლიკაციათა ქართულ თარგმანს.



რედაქტორის შენიშვნა:

შემდეგი სამი ინტერვიუ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერებისგან ურსულა დომოსჟევსკამ აიღო 1994 წლის დეკემბერსა და 1995 წლის მაისს შორის დროის მონაკვეთში. გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია შეიქმნა 1994 წელს სახალხო ფრონტის, რესპუბლიკური პარტიისა და ქარტია-91 გაერთიანების შედეგად. იგი არის დამოუკიდებლობის, დემოკრატიის და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული რეფორმების ყველაზე თანმიმდევრული და ძლიერი დამცველი საქართველოში. ნოდარ ნათაძე, სახალხო ფრონტის ყოფილი თავმჯდომარე, არის გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ლიდერი და საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომისიის თავმჯდომარე. ივლიანე ხაინდრავა არის პარლამენტის წევრი გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიისგან. დავით ბერძენიშვილი არის გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. მასთან ინტერვიუ შედგა დეკემბერში, ჩეჩნეთში ინტერვენციამდე.

ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან

კავკასიის დაყოფა

კორესპონდენტი: ედუარდ შევარდნაძემ, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, მხარი დაუჭირა რუსეთის ინტერვენციას ჩეჩნეთში. რამდენად ასაბამს ეს საქართველოში არსებულ საზოგადოებრივ აზრს?

ნათაძე: შევარდნაძის პოზიცია ეწინააღმდეგება საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებს. შევარდნაძემ გადააჭარბა თავის საკონსტიტუციო უფლებამოსილებას. მას არა აქვს უფლება განაცხადოს, რომ საქართველო მხარს უჭერს რუსეთის მოქმედებას ჩეჩნეთში. მას არც იმის უფლება აქვს, რომ ერთპიროვნულად დაიცვას რუსეთის ინტერესები საქართველოში.

კორესპონდენტი: 1993 წელს აფხაზეთის ომში ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები, მათ შორის ჩეჩნები, რუსი დაქირაკებულების მხარდამხარ იბრძოდნენ საქართველოს წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ქართველები არ დაუჭერენ მხარს შევარდნაძის პოზიციას?

ნათაძე: რუსეთის უდიდესი წარმატება ამ რეგიონში უკანასკნელი რამოდენიმე ათწლეულის მანძილზე იყო ომის პროვოცირება ჩრდ. კავკასიელ ხალხსა და საქართველოს შორის. ეს ყოველი ჩვენთვისგანისთვის ტრაგედია იყო. ჩრდ. კავკასიელი ხალხი ჩვენი ნათესავი ხალხია. გამონაკლისს წარმოადგენენ ოსები — რეგიონის ერთადერთი ინდოევროპელი ხალხი, აგრეთვე ბალყარები, ყარაჩაელები და ნოღაელები, რომლებიც თურქული წარმოშობისანი არიან. ქართველები და სხვა კავკასიელი ხალხები საერთო იბერიულ-კავკასიურ ეროვნულ და ლინგვისტურ შტოს განეკუთვნებიან. განსხვავებული ეთნიკური და ლინგვისტური წარმოშობის მიუხედავად, კავკასიის ყველა ხალხს აქვს მსგავსი ტრადიციები, საყოველდღიურო ჩვეულებები, ზნეობის და ღირსების ერთნაირი გაგება. ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთის. ცალკეული ინციდენტების გამოკლებით, ჩვენ ისტორიულად ძალიან კარგი ურთიერთობები გვქონდა. საუკუნეების მანძილზე არსებული მშვიდობის შემდეგ, რუსეთმა ახლა მოახერხა ამ ხალხთაგან ზოგიერთის ჩვენს წინააღმდეგ გამოყენება აფხაზეთში. ჩვენ ადვილად ვერ ვაპატიებთ იმათ, ვინც აისხიარაღი და დახოცა ჩვენი ქალები და ბავშვები, მაგრამ მოვალე ვართ შევინარჩუნოთ ის კავშირები და მეგობრობა, რომელიც ისტორიულად აკავშირებდა ჩვენ ხალხებს.

კორესპონდენტი: საქართველოში ამბობენ, რომ რუსეთის შეჭრა ჩეჩნეთში შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პრეცედენტი საქართველოს მიერ აფხაზეთის დასაბრუნებლად. ოქვენ ეთანხმებით ამას?

ნათაძე: არ შეიძლება ანალოგიის გაკეთება საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობებსა და რუსეთის ჩეჩნეთთან ურთიერთობას შორის. აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. აქ აფხაზები საუკუნეების მანძილზე თანაცხოვრობდნენ ქართველებთან. ორივე ერს აქვს ფესვები ამ ტერიტორიაზე. აზრი არა აქვს იმის დადგენის მცდელობას, თუ ამ ორი ერიდან რომელს აქვს უფლება ამ ტერიტორიაზე. ვინაიდან ცხადია, რომ იგი ორივეს ეკუთვნის. ჩეჩნეთის ისტორია კი განსხვავებულია. რამოდენიმე ათწლეული დაჭირდა რუს გენერალ ერმოლოვს, რათა XIX ს-ის დასაწყისში დაეპყრო ჩრდ.კავკასია. მან სპეციალური ტაქტიკაც კი შეიმუშავა ამ რეგიონისთვის — მთის ტყეებში იყენებდა გაჩეხვის და გადაწვის მეთოდებს, ახორციელებდა კავკასიური წინააღმდეგობის რეგიონის ყოველი აკრის „წმენდას“. თითოეულ სოფელს მთლიანად უშენდნენ საარტილერიო ცეცხლს, ხოლო ვინც გადარჩებოდა, იმას ხიშტზე აგებდნენ. გენერალი ერმოლოვი იყო ჩრდ. კავკასიელი ხალხების პირველი ამომჭეტელი.

იმავდროულად, დეკაბრისტები თავიანთ პლატფორმაში მოითხოვდნენ „ბანდიტი ნაციებისა“ დეპორტაციას კავკასიიდან იმისათვის, რომ აქ აყვავებული რუსული პროვინცია გაეშენებინათ. მოგეხსენებათ, ისინი ყველაზე დემოკრატი და განათლებული რუსები იყვნენ იმ დროისათვის, მაგრამ სწორედ მათ, და არა სტალინმა, მოითხოვეს პირველად ჩრდ.კავკასიელი ხალხების მასობრივი დეპორტაცია. უბრალოდ, მათი იდეები ვერ განხორციელდა 1944 წლამდე.

საბჭოთა რეჟიმის დროს რუსებმა გენერალ ერმოლოვს ძეგლი დაუდგეს გროზნოში. იგი ორჯერ იქნა აფეთქებული დეპორტაციიდან დაბრუნებული ინგუშების მიერ, მაგრამ ორივეჯერ აღადგინეს. არა მგონია, რომ ვინმემ იგი მესამეჯერაც აღადგინოს. მე მჯერა, რომ ჩეჩნეთის უკანასკნელმა მოვლენებმა მომაკვდინებელი დარტყმა მიაყენა რუსეთის ინტერესებს ამ რეგიონში. ჩვენ შედეგებს ახლავე ვერ დავინახავთ, მაგრამ მომავალში რუსეთი იძულებული გახდება წავიდეს კავკასიიდან.

კორესპონდენტი: იმავდროულად, საქართველომ ნება დართო რუსეთს გაანალაგოს 5 სამხედრო ბაზა მის ტერიტორიაზე.

ნათაძე: პარლამენტის დადგენილება, რომელიც 1993 წლის 1 ივნისს გამოსცა თავდაცვის და უშიშროების კომისიამ, ცალკე ძალაშია. მასში უკიცველეს ყოვლისა, ნათქვამია, რომ რუსეთის ჯარების ყოფნა ჩვენს ტერიტორიაზე არის უკანონო და წარმოადგენს 1921 წელს დაწყებული საბჭოთა ოკუპაციის და საქართველოს ანექსიის გაგრძელებას. ამასთან, მასში ნათქვამია, რომ რუსეთის ჯარებმა უნდა დატოვონ საქართველო 1995 წლის ბოლომდე. რუსეთი ახორციელებს მძიმე ზეწოლას საქართველოზე ახალი სამხედრო ბაზების აგების უფლების მიუების მიზნით. თუ შევარდნაძე დათანხმდება ამაზე, ეს იქნება უკანონო გადაწყვეტილება. მხოლოდ შევარდნაძის მარიონეტული ხელისუფლება იცავს რუსეთის ინტერესებს საქართველოში.

კორესპონდენტი: როგორ გესახებათ ერთიანი კავკასიის მომავალი?

ნათაძე: ამ საკითხის განხილვა ახლა ვერ იქნება ზედმიწევნით დიპლომატიური, ვინაიდან საქართველომ უკვე ცნო რუსეთის ამჟამინდელი საზღვრები.

კორესპონდენტი: თქვენ განაცხადეთ, რომ თბილისში დაიდგმება XIX ს-ის კავკასიური ავანაყების ლიდერის შამილის ძეგლი.

ნათაძე: რასაკვირველია. თბილისში უნდა იყოს შამილის სკვერი, რომელშიც აღიმართება შამილის ძეგლი ჩრდილოეთიდკენ შემართული ხმლით. მაგრამ ეს ხელოვნებაა და არა პოლიტიკა.

ინტერვიუ ივლიანე ხაინდრავასთან

ქართული ყინვა

კორესპონდენტი: რუსეთი აპირებს საქართველოში რამოდენიმე სამხედრო ბაზის განლაგებას. რაგორია ოპოზიციის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

ივ.ხაინდრავა: ეს არის საშარცხვინო. მაშინ როცა ლატვია მოითხოვს კალინინგრადის ოლქის დეზინტეგრაციას, საქართველო უმეტეს საკუთარი მიწა-წყლის ხელახალ მოცეტერიზაციას. საქართველო ოანხმდება რუსეთის მოთხოვნას, რომ ვანდეს მისი სატელიტი და არაფერს არ იღებს სანაცვლოდ. შევარდნაძის გადაწყვეტილება რუსეთის ბაზების საქართველოში განლაგების შესახებ. რაც წარმოადგენს ჩვენი დამოუკიდებლობის დ ფაქტო დაკარგვას. მიღებულ იქნა პარლამენტის ზურგსუკან. ოპოზიცია მოითხოვს უცხო ქვეყნის ჯარების განლაგებასა და მათ სხვა ქვეყნების წინააღმდეგ გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირებას საქართველოს პარლამენტის მიერ. ჩვენ გვინდა ცნობილი გახდეს, რომ შევარდნაძის მოქმედება არა აქვს არავითარი სამართლებრივი საფუძველი. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ საქართველო არა მარტო დაკარგავს თავის დამოუკიდებლობას, არამედ მის ტერიტორიაზე განლაგებული უცხო ქვეყნის ჯარები ინტენსიურად გამოყენებული იქნება ყარაბაღში ასერბაიჯანის წინააღმდეგ. [illegible] ომში, ან ჩეჩნეთში. საჭიროებისაგან, კაცონი, [illegible] ჩვენ მოვითხოვთ. ვერ იქნება [illegible] ნაბიჯ [illegible] ნინ-

დასასრული მე-7 გვერდზე

ერთადერთი შანსი

კორესპონდენტი: ბალტიის სახელმწიფოებისგან განსხვავებით, რატომ ვერ მოახერხეს ამერკავკასიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ რუსეთის მეურვეობისგან თავის დახსნა?

ბერძენიშვილი: ჩვენი ქვეყნებიდან არცერთს — არც სომხეთს, არც ამერბაიჯანს და არც საქართველოს არ აძლევს გეოპოლიტიკური მდებარეობა იმის საშუალებას, რომ რუსეთის იმპერიას გაბოეყოს მარტო საკუთარი ძალებით. ამასთან, საქართველოს სუვერენიტეტის დიდი ნაწილი — პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, თვით საკომუნიკაციო საშუალებებიც კი — უკვე მოსკოვის ხელთაა. ჩვენ პარტიას მაინდა, რომ მესობლებთან მჭიდრო კავშირების გარეშე. საქართველო მარტო ვერ შეძლებს მოსკოვის კონტროლიდან თავის დაღწევას (გამოსვლას). მაგრამ ჩვენს მეზობლებთან პოლიტიკური ერთობა არ არსებობს.

სხვაგვარად იქნებოდა საქმე. სომხები - რომ არ წამოგებულიყვნენ ყარაბაღის კონფლიქტზე.

მე ღრმად მწამს, რომ ყარაბაღის ომი დაიგეგმა რუსეთის სპეცსამსახურის მიერ და კონფლიქტის გაღვივებისაკენ მიმართული კამპანიაც მათ მიერ იმართებოდა. სხვაგვარად როგორ უნდა ეშოვათ ყარაბაღელ სომხებს თავისზე ბევრად ძლიერი მოწინააღმდეგისთვის ომის მოგებისათვის აუცილებელი საშუალებები ასე უეცრად! ეს დაიდგა ისე. თითქოს ეს სომხეთ-აზერბაიჯანის ომი იყო. სინამდვილეში ეს იყო რუსეთის ომი აზერბაიჯანის წინააღმდეგ. რომელშიც სომხეთი რუსეთის სტრატეგიული მოკავშირე იყო. სომხეთის და რუსეთის ინტერესები გაცილებით ახლოსაა ერთმანეთთან, ვიდრე რუსეთისა და აზერბაიჯანის.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ბალტიის ქვეყნების მსგავსი ძლიერი ბრეგიონული კავშირის შექმნა ამერკავკასიაში ვერ მოვახერხეთ.

კორესპონდენტი: ასეთის შექმნის არავითარი იმედი არ არსებობს?

ბერძენიშვილი: არსებობს ასერბაიჯან-საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ალიანსის შექმნის შესაძლებლობა. თუ დასავლეთის და თურქეთის დახმარებით ჩვენ შეგვძლებია ასეთი ხიდის შექმნა ამერკავკასიაში. ეს რეალურს გახდის იმის შესაძლებლობას, რომ სომხების პრორუსული ორიენტაცია შეიცვალოს პრო-დასავლურით და გაუჭიანდეს მათი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. საქართველოს კიდევ ერთხელ შეუძლია შეასრულოს შუამავლის მარადიული როლი. სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში.

საწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება ამ მიმართულებით. ამჟამად, რუსეთის არმია იყენებს საქართველოს ტერიტორიას აზერბაიჯანის წინააღმდეგ სომხეთის დასახმარებლად. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი პარტია და ოპოზიციის წარმომადგენლები პარლამენტში მოითხოვენ, რომ ხელისუფლებამ აღარ დაუშვას რუსეთის ბაზების განლაგება ჩვენს ტერიტორიაზე.

კორესპონდენტი: საქართველოს და აზერბაიჯანის უკანასკნელი პერიოდის ისტორია თითქმის იდენტურია. ჯერ იყო ძლიერი ეროვნული მოძრაობა, რასაც მოჰყვა საბჭოთა სამხედრო ძალების სისხლიანი ინტერვენცია. შემდეგ ცნობილი დისიდენტების არჩევა პრეზიდენტებად — გამახსურდიას არჩევა საქართველოში და ელჩიბეის — აზერბაიჯანში, რასაც მოყვა მოსკოვიდან მართული სამხედრო გადატრიალებები. რომლებმაც ხელისუფლების საიავეში მოიყვანა სუკ-ის გენერლები — შევარდნაძე და ალიევი. ორივე ქვეყანამ წაგო ომები აჯანყებულ პროვინციებში — აფხაზეთსა და ყარაბაღში. ამჟამად, სრულიად განსხვავებული სიტუაციაა ამ ორ ქვეყანაში. საქართველოში სრულიად განადგურებულია სახელმწიფოებრიობა და ეკონომიკა.

დასასრული მე-7 გვერდზე

ჩვენ გაგიყვანთ

რესპუბლიკელების წინასაარჩევნო პრეზენტაცია



ნოდარ ნათაძე

(№1. მთაწმინდის ოლქი)

პარლამენტში გაერია, გნოლის
ჯოგსა ვითა ქორი.
კაცი კაცსა შემოსტყორცნა,
არ დაინდო ბარე ორი,
მასთან ყველა მოპაექრე
ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
მთაწმინდაზე კანდიდატი
სხვა ვინ ნახოთ მისი სწორი.

თედო პაატაშვილი

(№25 წალკის რაიონი)

მაქვს მკერდს მიდებული მიკროფონი ძველი,
ჩემთვის გამობრწყინდა ჟამი საბრძოლველი,
კარგად ამირჩია, ვინაც ამირჩია, როცა ამირჩია
როგორც ქარტიელი.
ახლა ისევ ისე ურნებთან მოგელით,
წალკაში მივდივარ მე, ძველი ვერელი
ისევ ამირჩიეთ, კარგად ამირჩიეთ,
ახლაც ამირჩიეთ.
ვით რესპუბლიკელი.



ვახტანგ ხმალაძე

(№2, ვაკის ოლქი)

განა მე ხმალი არ მიკვეთს, ან
სიმახვილე ენისა,
პარლამენტს მივალებინე
კონსტიტუცია ერისა,
ვაკეში მე ხმებს მომცემენ, ამას
არ უნდა მისანი,
არვისგან დაიწუნება რესპუბლიკელთა
მიზანი.



ვახტანგ ძაბირაძე

(№51 ზესტაფონის ოლქი)

ამას, იმას რომ
ძაბირაძე არ ავირჩიოთ,
ხოლო მისა წილ
„მოქკავშირლებს“ ავუბათ მხარი,
ვინ მოგვიწონებს,
ანდა რატომ მოგვიწონებენ,
ერთი მითხარი.
ვახტანგის ადგილს თუ დაიჭერს
ვინმე ხეჩუა,
ეს საქართველო დაგვექცევა
თვალს და ხელს შუა.



დავით ბერძენიშვილი

(№9 ნაძალადევის ოლქი)

ისმინე ამომრჩეველო, მიჰყევ
დავითის მცნებასა,
ჯერ მწარე ჭამეთ, აწ ტკბილი —
არ დაჰყვეთ ჯაბას ნებასა.
ბერძენიშვილის არჩევა სუყველას
მოგგვრით შვებასა,
რას ვამბობ იმას ვასრულებ,
სიტყვას არ ვაგდებ მე ბანსა.



შოთა ნადირაშვილი

(№41 ნინოწმინდის ოლქი)

მას არ ამშვენებს ხარისხი,
თავად ამშვენებს ხარისხსა.
ხმა მივცეთ უნდა თამამად, —
რქანიც ხნავს ბებერ ხარისა.



ივლიანე ხაინდრავა

(№3 საბურთალოს ოლქი)

ამაოა ეს ცხოვრება, აქ მოკლეზე
ვერვინ გავა,
წუთისოფელს ეომება ზოგი ლევად,
ზოგი პრავად,
მოშორდები პოლიტიკას, მაინც
ჩხუბი, მაინც დავა,
წადი, წადი პარლამენტში,
პარლამენტში ხაინდრავა.



ნოდარ გრიგალაშვილი

(№36 ბორჯომის ოლქი)

ქვეყანას რადგან უჭირს ძალიან,
ქვეყანა რადგან არის დაშლილი,
დავდგეთ იქ სადაც ქარიშხალია,
და ნოდარი დგას გრიგალაშვილი.



რომან გოცირიძე

(№8 დიდუბის ოლქი)

საქართველოში კი არა,
ამერიკაშიც იციან —
გახვრეტილ გროშის ფასია
უშენოდ ოპოზიცია.

თამაზ დიასამიძე

(პარტიული სიით)

აჭარელი ვიყავ განა,
გულფიცხი და შავგვრემანა.
პარლამენტშიც სიტყვა მითქვამს,
უსაქმური ვიყავ განა.
დემესიენ უბირები
აქ რჩეულა, იქ ასლანა.
გავკარი და გამოვკარი,
არ დამჭირდა ბაბას დანა.
თუ ხელახლა ამამირჩევთ,
ქეც ვაცეკვებ განდაგანას.

საქშვიდოზოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ზოიძე

(№83 ხელვაჩაურის ოლქი)

ოთარ თქვა: მიწა რბილია,
სიტყვას მით უნდა დანდობა.
ერთხელ ჯობია არჩევა
სულ მუდამ კანდიდატობას.

ლევან მესხი

(№59 ქუთაისის ოლქი)

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო
ქარო,
თუ თემურ შაშიაშვილმა გკითხოს,
ვინა ხარო.
უთხარ, ხმა ვარ ამომრჩევლის,
არ კი უთხრა ვისი,
მაინც ლევან მესხს აირჩევს
მთელი ქუთაისი.

გურამ ბერიშვილი

(№7 ჩულურეთის ოლქი)



ბერიშვილმა დაიქადნა:
„საქმეს ვიზამ საზარელსა,
რჩეულიშვილს მშრალზე
დავსვამ
მისით გამოიჭრის ყელსა“.
ჩულურეთში იძახიან:
„ლავე ბიჭი არის ესა.
სიტყვას არვის არ შეარჩენს,
ღმერთი როგორ წაახდენსა
სოციალისტ რჩეულიშვილს
ნაღდად გვირჩევნია ესა“.

აკაკი ბობოხიძე

(№55 ხონის ოლქი)

ხონის თავს შევკრა პირობა,
არ ვაღალატო პარტია,
ჩავუხტე რჩეულიშვილსა
ვასწავლო დემოკრატია.
მაცალოს, სიტყვა ავლესო,
ვით ხანჯალ-ჩახმახ-კვესია,
სულ სიმწრით მოვამკევინო,
რაც დღემდე დაუთესია.
თავ-ბედ საწყევრად გაუხდეს
ყველა მოწვევის სესია.

ვასილ ბუზალაძე

(№33 ქარელის ოლქი)

ხომალდში ჩავჯექ,
ზღვას გაველ
ვერ ვნახე შენი სახელო,
ამომრჩეველო ეს ლექსი
აწ უსურათოდ ნახეო.

არჩევნების წინ ქარელში
ათასი ბუზი ბზუისო,
მაგრამ ბუზალაძესთან
სუყველა უღვთოდ ტყუისო.



ფრიდონ საყვარელიძე

(№24 დმანისის ოლქი)

დმანისისაკენ მივდივარ,
ვერ მომაბრუნებს ქარიო;
წინ შამეყარა ედვარდი,
წითლად უჩანდა მხარიო.
ვამსგავსე ცეკას მდივანსა,
ღმერთო, გვაშორე ავიო.

გაიოზ როგავა

(№67 ზუგდიდის ოლქი)



ართი კოჩი შემომიჩნდა
ხმა მიეცი როგავასო,
პარლამენტში ჩუმად ზის და
უფიქრდება მომავალსო.
ოუ, ნანა, გიზო, ნანა
გვალო გაკეთენსიაო და...
ათას ლარის ფარას მოგვცემს,
ცხენ დო უნაგირსიაო.
დეპუტატად ავირჩიოთ,
ის ნამდვილად ღირსიაო.
ოუ, ნანა, გიზო, ნანა
გვალო გაკეთენსიაო და...

ბესო ფაჩუაშვილი

(პარტიული სიით)



შენმან მზემან, უშენოსა არვის
მიხვდეს კენჭი შენი,
„მოქალაქეს“ ხმას არ მივცემ,
მომივარდნენ, თუნდაც ბევრნი,
თუ გინდა რომ გაიმარჯვო,
გამოიღე შენაც ხელი,
თორემ განა დაილია
„თბილისელი“, თანაც ხელი?



პაატა ზაქარეიშვილი

(№10 გლდანის ოლქი)

გაფრინდი ამომრჩეველო,
ჩაჰყე გლდანულას პირსაო.
ამბავი ჩამოგიტანო
ომში წასული ყმისაო.
აფხაზეთს შევა-გამოვა
არ ეშინია მტრისაო,
ახლა ბოსნიას წასულა,
არა ჯდეს წყლისა პირსაო.
მისებრ რჩეული ვაჟკაცი
პარლამენტს ვინა ზისაო.

წინასაარჩევნო კალმასობა დასავლეთ საქართველოში

კანდიდატის ჩანახატი

ივლიანე ხაინდრავა

მეორე გვერდიდან

ბდა თანამდებობის იმ პირთა სიას, ვინც მიმაგრებული უნდა ყოფილიყო (და, ალბათ, მიემაგრა) კონკრეტულ საარჩევნო უბანს. არა მგონია, რომ ეს სია ისეთი რანგის სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენდა, რომ ჯერ კიდევ მოქმედი პარლამენტის ჯერ კიდევ მოქმედი დეპუტატებისთვის ყოფილიყო გასაიდუმლოებული. ფაქტი კი ის არის, რომ რაიონის გამგებელი ძალიან აღელდა ჩვენს დანახვაზე, მერე კიდევ უფრო აღელდა, შემდეგ სულ მთლად აღელდა და მოისურვა ორივე პარლამენტარის დარბაზიდან გასტუმრება, მისდა სამწუხაროდ, და მისგან განსხვავებით ჩემი პარტნიორი დეპუტატიც და მეც საკმარისად კარგად აღმოვჩნდით გათვითცნობიერებულები ჩვენს კანონიერ უფლებებში და შესაბამისი განმარტებაც მივეცით. საკმაოდ ცოცხალი დისკუსიის შედეგად გაუთვითცნობიერებულმა გამგებელმა პირველმა დატოვა დარბაზი, ხოლო ჩვენ, ადრე მიცემული დაპირებისამებრ, გავაკეთეთ ეს მაშინ, როცა საჭიროდ ჩავთვალეთ. ისე, გულწრფელად რომ გითხრათ, ინციდენტი არც ჩვენთვის იყო თავისთავად სასიამოვნო, ვინაიდან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა პირველ რიგში დამსწრე საზოგადოება თავისი თავკაცის არა მხოლოდ უცოდინაროობის გამო. ალბათ, მას შემდეგ მაინც, რაც მას თანამდებობიდან გაანთავისუფლებენ და მეტი დრო ექნება კანონების წასაკითხად, გაეცნობა „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლს, რომლის მიხედვითაც „პარლამენტის წევრს უფლება აქვს მონაწილეობდეს სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის რესპუბლიკური თუ ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში სათათბირო ხმით...“ და ა.შ. ჩვენ კი ეს ჩვენი სათათბირო ხმაც კი ამოღებული არ გვქონდა და, ალბათ, არც ამოვიღებით, რომ არა გამომწვევი უვიცობა და უზრდელობა.

ჰო, ღმერთმა დამიფაროს, რომ ვინმემ იფიქროს, თითქოს ვაპირებდეთ მაღალ ინსტანციებში სირბილს, რაოა თანამდებობიდან მოვახსნევინოთ ზემოხსენებული გამგებელი. ეს ჩვენი სტილი და მეთოდი არასოდეს ყოფილა. თუ შესაძლებლობა მოგვეცა, ჩვენი მეთოდი ის იქნება, რომ თანამდებობაზე შესაბამისი მონაცემების მქონე ადამიანები დაინიშნებიან. უბრალოდ ვფიქრობ, რომ იმ სულ მთლად აღელვების საფუძველიც სწორედ ის გახლავთ, რომ საკუთარი პოზიციების გასამაგრებლად ამ კონკრეტულ გამგებელს ძალიან სურს უპატაკოს ცენტრს, რომ პარტიულებისა და უპარტიოთა სახელოვანმა ბლოკმა მის რაიონში ამომრჩეველთა ხმების 99,98% მოაგროვა, და იმ თათბირის ძირითადი მიზანიც ამ პროცენტების უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო. ალბა, კარგ საქმეს განა დამალავ და გასაიდუმლოება უნდა?

ჩვენს მარშრუტზე სხვადასხვანაირი ხალხიც გადაგვეყარა და სხვადასხვანაირ ვითარებაშიც ამოგვიყვია თავი. ერთ ქალაქში ზუსტად მაშინ ჩაკრა სანათლე შიგ შუა ცენტრში, ჩვენ რომ შეხვედრა უნდა დაგვეწყო. ო�oდე წუთში გვეშველა. უფრო სწორად — გვიშველეს ადამიანებმა, ვისაც თეატრში შუქის გამორთვა პოლიტიკური ბრძოლის გამართლებულ და კანონიერ მეთოდად არ მიაჩნია. მადლობა უფალს, ასეთებიც არიან.

იქვე, დავამთავრეთ თუ არა ამომრჩეველებთან შეხვედრა და გარეთ გავედით, შენობის კედლები ტაშის გრიალმა კი არა — გრიგალმა შეაზანზარა. ცოტა არ იყოს გაგვაოცა იმ მხარისათვის ნაკლებად დამახასიათებელმა ესოდენ დაგვიანებულმა რეაქციამ ჩვენს შთამბეჭდავ გამოსვლებზე. გამოცანა სულ მალე ამოვხსენით — პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს უშუალოდ ჩვენს შემდეგ დაუკავებია ადგილი სცენაზე, ხოლო დარბაზი ჩვენი ინტელიგენტური და შეფიქრიანებული აუდიტორიის ნაცვლად მის თავგამოდებულ და ნაწილობრივ მეზობელი რაიონიდან ჩამოყვანილ თაყვანისმცემლებს გაეგესოთ თურმე. ასე რომ, ოვაციის ადრესატები ჩვენ ნამდვილად არ ვყოფილვართ.

ამ პრეზიდენტობის კანდიდატის სასახელოდ, რომელსაც მე ნამდვილად არ დავუჭერ მხარს, იმას ვიტყვი, რომ შეხვედრის დამთავრება მაინც დაგვაცალა და მაშინ მოახდინა დარბაზის ოკუპაცია, მისი დრო რომ დაიწყო. მეზობელ რაიონში ჩვენ, რბილად რომ ვთქვათ, კურიოზის წინაშე აღმოვჩნდით. სამ საათზე რომ გვქონდა დანიშნული შეხვედრა ისევ და ისევ თეატრის შენობაში, ნახევარი საათით ადრე სხვები შებრძანდნენ იქ და საკუთარ, ორგანიზებულზე ორგანიზებულ აუდიტორიას ჩვენი ნაკლებად ორგანიზებული და ნებაყოფლობითი აუდიტორიაც შეჰმატეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ არაკორექტურობისა და არაკოლეგიალობის ჩამდენი ბლოკი ყველას გვერდზე დგომას იჩემებს, ჩვენ თვი ავარიდეთ მასთან [illegible] დომას და გარეთ [illegible] ნათა განვითარებას. პირველებმა ჩვენმა მომხრეებმა იწყეს კანტიკუნტად ყოველმხრივ ბლოკირებული დარბაზიდან გამოპარვა. მერე ის ორგანიზებულებიც მიჰყვნენ. ჩვენც რაღა დაგვრჩენოდა და პირველი განყოფილების გარეშე პირდაპირ მეორე ჩავატარეთ ერთ შესანიშნავ ოჯახში.

სიმართლე რომ გითხრათ, გულიც კი ნაკლებად მწყდება, რომ ის შეხვედრა ჩაიშალა და აი რატომ: რაზეც ჩვენ უნდა გვესაუბრა, იმას იტყოდნენ ისინიც. იტყოდნენ, რომ საჭიროა დამოუკიდებლობა, ეროვნული ვალუტა, აფხაზეთის დაბრუნება. აბა იმას ხომ არ გაიხსენებდნენ, რომ მათი ორგანიზაციის ლიდერის პირით გაისმა პირველი ხმამაღალი მოწოდება და შესაბამისი ქმედებაც CHГ-ში შესვლისაკენ, სამანეთო ზონაში დარჩენისაკენ, აფხაზეთში ჩვენი ძალების ცალმხრივი განიარაღებისაკენ. გულმავიწყია ქართველი ამომრჩეველი და დიდსულოვანი. რაც გინდა თქვი, რაც გინდა შეპირდი ხვალ დავიწყებენ. რომ ადრე უკვე გაპატიეს, ხოლო საკუთარ თავს აპატიებენ, რომ დავიწყეს.

ისე კი, ისიც გამიგია, რომ სულ არ აქვს აზრი მოგზაურობას, სირბილს, შეხვედრებს, ტელევიზიასა და რადიოში გამოსვლებს, პროგრამების, პლატფორმებისა და წერილების ბეჭდვას. ასე მითხრეს, ვისაც უკეთ აქვს საუბნო საარჩევნო კომისიები დაკომპლექტებული, ის მოიგებს არჩევნებსო.

დავიჯერო?

როგორ ხდება ბიულეტენში ხმის მიცემა

საარჩევნო უბანში თითოეული ამომრჩეველი მიიღებს სამ ბიულეტენს. ერთში ჩამოთვლილი იქნება არჩევნებში მონაწილე პარტიები, თავიანთი რიგითი ნომრების მიხედვით, მეორე ბიულეტენში მოცემულია პრეზიდენტობის კანდიდატთა სია, ხოლო მესამეში — თქვენს რაიონში დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა გვარი. ამომრჩეველმა უნდა შემოხაზოს ის რიგითი ნომერი, რომელიც აქვს მისთვის სასურველ პარტიას თუ დეპუტატობის კანდიდატს.

ვინც ხმას აძლევს „რესპუბლიკელებს“ შეგახსენებთ, რომ მათი რიგითი ნომერია 52, ე.ი. „რესპუბლიკელები“ იმყოფებიან თითქმის ბოლო ნაწილში. სწორედ ეს ნომერი უნდა იქნას შემოხაზული.

გთხოვთ ყურადღებით იქნას ჩატარებული ეს პროცედურა, რადგან ბიულეტენში რაიმე სხვა სახის აღნიშვნის ან წარწერის გაკეთება იწვევს ამ ბიულეტენის გაუქმებას და ბუნებრივია, თქვენი ხმის დაკარგვას, რაც შეიძლება გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს. გთხოვთ ამოჭრათ გაზეთიდან და საარჩევნო უბანში თან იქონიოთ ქვემოთ მოცემული თქვენთვის სასურველი პარტიული სიისათვის ხმის მიცემის წესი.

პარტიების სია

1. პარტიის დასახელება
2. პარტიის დასახელება
3. „_____“
4. „_____“
5. „_____“
6. „_____“

.

.

.

52. რესპუბლიკელები

53. პა რტიის დასახელება

54. პარტიის დასახელება

.

აქ სიბნელეა, მანდ კი...

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ ივანე კიღურაძეს

ამაოა წუხილი მხოლოდ იმაზე, რომ არჩევნებამდე მცირე დროა დარჩენილი. საამწუხაროა სხვა რამ არის.

პრეზიდენტის არჩევნების კანონის 17-ე მუხლის საფუძველზე მონაწილეობენ „ნინასაარჩევნო კომპანიაში. ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

უკანასკნელი მონაცემებით ხიღნალის რაიონი საქართველოს ტერიტორიას მიეკუთვნება, მაგრამ აქ ყოველგვარ იანასწორობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ზოგისთვის სინათლეა უხვი, ზოგისთვის სიბნელეც საყვედრებელია.

ქ.ხიღნალში არსებობს კეთილმოწყობილი საქტო დარბაზი, ყოფილ რაიკომის შენობაში. ახლა მას მოქალაქეთა კავშირი და გამგეობა ჰყავს დაპატრონებული. თუ გამოწნდა ვახტანგ რჩეულიშვილი, ზურაბ ჯანია ან შევარდნაძის სხვა მხარდამჭერი, დარბაზის კარი ფართოდ იღება, მაგრამ „ვაი მას, ვინც მათი შეხედულებით უღირსი პრეზიდენტობის კანდიდატია, ასეთი კი ალბათ შევარდნაძის გარდა ყველაა.

როდესაც ჯუმბერ პატიაშვილი გამგეობის შენობაში არ შეუშვეს. ცოტა ხანს ქუჩაში ესაუბრებოდა შეწუხებულ მოქალაქეებს, რომლებიც თვითონ წუსდნენ და ებოდიშებოდნენ ბატონ ჯუმბერს ადგილობრივი ხელისუფლების ასეთი უდიერი საქციელის გამო. აქა იქ ისიც კი გაისმოდა: მაგ დალოცვილებს (იგულისხმებოდა გამგებელი და საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე) „სტუმარ-მასპინძელი“ მაინც არ წაუკითხავთო. რადგან ხიღნალში დენი იშვიათი მოვლენაა, რა თქმა უნდა ძველი კლუბის შენობა, რომელშიც მზე არსაიდან შედის, უკუნეთ სიბნელეში იყო გახვეული, გარეთ ყოფნაც რადგან გაძნელდა, ვილაცამ თქვა: შევიდეთ, ბატონო ჯუმბერ, სიბნელეს თვალი შეეჩვევაო. როდესაც სიბნელეს თვალი ცოტათი შეეჩვია, ბატონ ჯუმბერს ვილაცამ მისწერა — აკაკის გამზრდელი გახსოვთო? — ბატონი ჯუმბერი ვერ მიხვდა წერილის მიზანს და არ უპასუხია. იგი ძალიან იყო შეწუხებული და გაბრაზებული...

გასაბრაზებელი კი ნამდვილად არაფერი ჰქონდა, ვ.ცაბუტაშვილის რაიონის გამგებლის აღზრდაში მასაც ქონდა წვლილი გაღებული და ორივენი ხომ ერთ დროს ცეკას ერთგული შვილები იყვნენ. ბატონი ჯუმბერის ცეკას მდივნობის დრის ვ.ცაბუტაშვილი ხომ ხიღნალის რაიკომის მდივანი იყო. მაშინ ალბათ ბატონ ჯუმბერს ფეხქვეშ ეგებებოდნენ. მაშინ ის იყო პირველი კაცი, ახლა ბატონი ედუარდია, ვინც პირველია. მაოთვის მხოლოდ ის არის ყურადღების ღირსი. ასე რომ ყოფილი ცეკას მდივანი, ყოფილმა კომუნისტებმა, ყოფილ რაიკომის შენობაში ხომ არ შეუშვეს. საკვირველი არაფერია, ეს არის კომუნისტების არსი, ფსიქოლოგია და მათი მთელი ისტორია.

ასეი დროის ყველა კანონი, ადათი და წესჩვეულება გაწერებულია. ასე იყო მაშინაც და ახლაც — ასე.

მაგრამ ჩვენ, ბატონო ივანე ხხეა რამ გაოცდებს. აქ ხხეა პრეზიდენტობის კანდიდატებიც ჩამობრძანდებიან. მაგალითად ვკლიდებით ბატონ აკაკი ბაქრაძეს. რაც გაიგეთ ისე თვითნებობს. რომ რაიონის მოსახლეობის კუთვნილ შენობაში, სადაც იგი დროებითაა, არ უშვებს ყოფილ თანამოაზრეს. არ არის გამორიცხული, რომ ახლა კულტურის განყოფილებამ ბრძანოს ეს შენობა ჩვენი კუთვნილიაო. როგორც ეს ქუთაისში მოხდა. და, ხელისუფალთა უპასუხისმგებლობის გამო, პატიოსანი რაიონის მოსახლეობა დარჩეს შეურაცხყოფილი.

მესმის, რომ ძალაუფლებაში მყოფ ძალებს სურთ შეინარჩუნონ ძალაუფლება, ისინი დანიშნულები არიან და არჩევნები ეხამუშებათ. ასეთ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ თქვენ ხართ ვალდებული ელემენტარულად მაინც დაიცვათ ის საწყისი ეგზაუდგელი დემოკრატია არჩევნების ჩატარება რომ ჰქვია.

აშკარად ჰხედავს ხალხი, რომ ვინც მოქალაქეთა კავშირის პოზიციებზე არ დგას, ის იდევნება. მეფობს ანტაგონისტური დამოკიდებულება საწინააღმდეგო აზრის და შეხედულებების მიმართ.

„ვინც ჩვენია, ნათელი და კეთილმოწყობილი დარბაზი და ყოველგვარი ხელშეწყობა ხელისუფლების მხრიდან, ვინც ჩვენთან არაა, მათთვის ბნელი კეთილმოუწყობელი დარბაზი და უდიერი დამოკიდებულება, ოლტვრიონ კისერი,“ აი მათი პოზიცია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უშუალოდ თქვენ უნდა დაინტერესდეთ ამ პრობლემით, არჩევნების ჩატარება ზეიმი უნდა იყოს და არა დაპირისპირება. რადგან საქტო დარბაზი ერთხელ დეთმა საარჩევნო კომპანიას და ამჟამად მასზე მნიშვნელოვანი არაფერი არ ხდება, იგი სხვა პოლიტიკურ ძალებსაც უნდა დეთმოს. რა შუაშია კანონი, ეს უბრალო კულტურის და მოქალაქეობის აქსიომაა რომ არჩევნები ოდნავ მაინც გაკეთილშობილდეს. თქვენი ჩარევა მიგვაჩნია აუცილებლად. გთხოვთ ჩაერიოთ ამ სიბნელეში. გადასცეთ საქტო დარბაზი წინასაარჩევნო პერიოდში. საარჩევნო კომისიას გთხოვთ გამოაგზავნოთ ერთ-ერთი დაკვირვებელი, რაოა გაასაჯაროთ არჩევნები ხიღნალის რაიონში რამდენადაც ეს თქვენი ძალებით შესაძლებელია.

არ ვიცით, ვისი თვალები ეჩვევა სიბნელეს, მაგრამ ქოხიყელი კაცის თვალები და ბუნება რომ ვერ მიეჩვევა იმ სიბნელეს, რაც ხიღნალის რაიონში სურთ დაამკვიდრონ რაიონის მესვეურებმა, ეს მათ კარგად უნდა იცოდნენ.

პატივისცემით:
თენგიზ ბეჟაშვილი

გრპ-ს. ხიღნალის რეგიონალური საბჭოს თავმჯდომარე

ინტერვიუ ივლიანე ხაინდრავასთან

ქართული ყინვა

მესამე გვერდიდან

ომდეგი.

კორესპონდენტი: ოპოზიციას აქვს 22 ადგილი 232 დეპუტატიან პარლამენტში. შეუძლია მას რაიმე პოლიტიკური გაავლენის ქონა?

ხაინდრავა: რეალურად არა. მაგრამ ვინაიდან სპარლამენტო სხდომები გადაიცემა ტელევიზიით, ჩვენ ახლანთ გავლენას ახოგადოებრივ აზრზე. როცა შევარდნაძე არ ესწრება, ოპოზიცია ზოგჯერ ახერხებს თავისი ზოგიერთი კანონპროექტის გატანას, თუმცა მისი დაბრუნებისთანავე ხდება მისი გადასინჯვა (ანულირება). საქართველოს უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ხუთი წლის მანძილზე უკვე მეორედ, მისი ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ერთ პიროვნებაზეა ორიენტირებული — ჯერ გამსახურდიას ნებაზე იყო მისადაგებული, ახლა — შევარდნაძის. ორივე შემთხვევაში, ყველაფერი მიდიოდა შეუფერხებლად მანამ, სანამ მათ არ დაიწყეს ძალაუფლების უზურპაცია, თავიანთი უფლებამოსილებების გაფართოება, მათი პერსონისადმი მიწურ ქედმოხრაზე დაფუძნებული იერარქიული სტრუქტურის შექმნა. შევარდნაძემ 70 პარლამენტის წევრი დანიშნა მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე, რითაც მათი ლოიალურობა მისადმი გარანტირებულია. ამიტომ მოითხოვს ოპოზიცია, სხვა საკითხებთან ერთად, ხელისუფლების სამი შტოს — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების განცალკევებას და დამოუკიდებლობას. დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება საქართველოში თავიდან შესაქმნელია და იგი უნდა შეიცავდეს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მსგავს საკონსტიტუციო ტრიბუნალს. ეს ძნელი განსახორციელებელი იქნება იმ ძლიერი ნიჰილიზმის პირობებში, რომელმაც მოიცვა როგორც საზოგადოება, ისე სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურები.

კორესპონდენტი: ტარდება საქართველოში ეკონომიკური რეფორმა?

ხაინდრავა: დადებითს ეჭრაფერს ბეტყვით. თვით მოლდოვა და სომხეთიც კი ჩვენზე წინ არიან. შევარდნაძე აცხადებს, რომ ჩვენ იმის გამო ვერ გავატარებთ აგრარულ რეფორმას, რის შედეგადაც მიწის უზარმაზარი ნაკვეთები დაუმუშავებელია და ეს მაშინ, როცა არსებობს შიმშილობის საფრთხე. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოსთვის მიცემული ფული იხარჯება უცხოეთში საკვები პროდუქტების შეძენაზე. ნაცვლად ეკონომიკის რეკონსტრუქციისა. შევარდნაძის ერთადერთი „რეფორმა" იყო პურზე და ენერგიაზე ფასების მომატება. მთავრობა მიდის ცალკეულ მცირე დათმობებზე მხოლოდ მაშინ, როცა გრძნობს მსოფლიო ბანკის მსგავსი ორგანიზაციების ზეწოლას.

კორესპონდენტი: მიუხედავად იმისა, რომ შენობაში კიმყოფებით, ჩვენ ორივენი კიყინებით. ჩვენ ვერ მოვახერხებთ ინტერვიუს გაგრძელებას, ვინაიდან ცივა. რატომ არა აქვს საქართველოს გათბობა, გაზი ან ელექტროენერგია?

ხაინდრავა: ჩვენი მთავრობა შედგება 53 ადამიანისგან: 25 მინისტრის, 22 დეპარტამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრის და 5 ვიცე-პრემიერისგან. ენერგეტიკის საკითხებს განაგებს 2 სამინისტრო და 4 დეპარტამენტი. ასე ვერანაირი სისტემა ვერ იმუშავებს. ოპოზიცია უკანასკნელი 18 თვის მანძილზე ითხოვდა მთავრობის რეორგანიზაციას. მაგრამ უშედეგოდ.

ინტერვიუ დავით ბერძენიშვილთან

ერთადერთი შანსი

მესამე გვერდიდან

მის ტერიტორიაზე განლაგებულია რუსეთის სამხედრო ძალები. აზერბაიჯანში სახელმწიფოებრიობა მუშაობს, არის წესრიგი, არ დგას რუსეთის სამხედრო ძალები. მოხდა დასავლეთთან დაახლოება. მომავალი კიდევ უფრო საიმედო აქვს. რატომ არის ასეთი განსხვავება დღესდღეისობით?

ბერძენიშვილი: რუსებს იმედი ქქონდათ, რომ სუკ-ის ფუნქციონერი ალიევი მათ სასარგებლად იმუშავებდა აზერბაიჯანში, მაგრამ ის ნელა და თანდათანობით წავიდა თურქთისა და ნატოს ქვეყნებთან დაახლოებისკენ. ბაქოს ნავთობთან დაკავშირებული კონტრაქტი, რომლის თაობაზეც ის აწარმოებდა მოლაპარაკებას, კიდევ უფრო ხელსაყრელია. ვიდრე ის პირობები, რომელსაც აყენებდა ელჩიბეი. აღმოჩნდა, რომ ალიევმა, მიუხედავად თავისი წარსულისა, მოახერხა მოლაპარაკება თვით იმ პოლიტიკურ ძალებთანაც, რომლებიც მან ჩამოაშორა ხელისუფლებას. აზერბაიჯანელმა პოლიტიკურმა ელიტამ უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა გამოავლინა. ვიდრე ქართულმა. აზერბაიჯანში, საქართველოსგან განსხვავებით, კონფლიქტის მონაწილე ორ მხარეს ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიუყვანია. აზერბაიჯანში ხალხი დამოუკიდებლობისთვის უფრო მტკიცედ იბრძოდა, ვიდრე საქართველოში.

კორესპონდენტი: გაქვთ კონტაქტები მსგავსად მოაზროვნე ადამიანებთან აზერბაიჯანში?

ბერძენიშვილი: ღიახ, ჩვენ რეგულარულად ვხვდებით ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის და მუსავატური პარტიის წარმომადგენლებს... ჩვენ. აგრეთვე. კარგი დამოკიდებულება გვაქვს ყოფილ პოლიტპატიმრებთან სომხეთში. მათ რიცხვშია ჩემი ახლო მეგობარი. ამჟამად ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე რაფაელ პაპაიანი. რამდენადაც მე ვიცი, სომხეთის ნოვოვსოზდინის რესპუბლიკური პარტია ერთადერთი პოლიტიკური პარტიაა სომხეთში, რომელსაც ესმის ამჟამინდელი გეოპოლიტიკური სიტუაციის სირთულე. მე მჯერა, რომ აზერბაიჯანს და საქართველოს შეუძლიათ ერთად იმოქმედონ რუსეთის გავლენიდან გამოსვლის მიმართულებით. შემდეგ სომხეთმა შეიძლება საქართველოს შუამავლობით მიაღწიოს ურთიერთობის გაუჯობესებას აზერბაიჯანსა და თურქეთთან. თუ ჩვენ ვერ შეკრებთ ერთიანი ამერკაკასიის შექმნას, არასოდეს არ იქნება სტაბილურობა არც აქ, არც რუსეთში და არც მის გარშემო.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების ახალი პერსპექტივები?

1995 წლის 16 ოქტომბერს ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის მოწვევით ბოსნიის ქალაქ ტუზლაში გაემგზავრა გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრესსამსახურის ხელმძღვანელი პაატა ზაქარეიშვილი.

გამგზავრების ძირითად მიზანს წარმოადგენს აფხაზეთში დაკარგულ ქართველ მეომართა და მშვიდობიან მოქალაქეთა მოძიების შეჩერებული პროცესის ამოქმედება საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით. ქ. ტუზლაში გაიმართება ზემოთ აღნიშნა ასამბლეის კონფერენცია, სადაც უკვე კონკრეტულად დაკომპლექტდება სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეძლებს გაემგზავროს აფხაზეთში და ადგილზე შეეცადოს დაიყოლიოს აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლება, რათა ითანამშრომლონ უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიები საქმეში. წინასწარი შეთანხმების შედეგად სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს აზერბაიჯანის, ყარაბაღის, სომხეთისა და ჩეჩნეთის წარმომადგენლებმა. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის წარმატების შემთხვევაში მისი მანდატი გავრცელდება კავკასიის მთელ რეგიონზე.

ბოსნიის კონფერენციაზე საუბარი იქნება გენოციდსა და ეთნიკური წმედის ფაქტებზეც. როგორც პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, კარგი იქნებოდა თუ ამ შემთხვევაში ქართული მხარე გაავრცელებდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საბრალდებო დასკვნას აფხაზეთში ქართველთა გენოციდის თაობაზე, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ამ დოკუმენტის არც ინგლისური და არც რუსული ვარიანტები გამზადებული არ ყოფილა. ქართული მხარე იძულებულია გაზეთ „კავკასიონში" გამოქვეყნებული საბრალდებო დასკვნა თარგმნოს და ის გააცნოს კონფერენციის მონაწილეებს. თუმცა ეს აღარ ჩაითვლება ოფიციალურ დოკუმენტად.

ბრპ-ს პრესცენტრი

გაგრძელება.

დასაწყისი იხ. №26,27,28,29,30, 31, 32, 33,34.

1965 წლის სექტემბერში ცენტრმა გადასცა მნიშვნელოვანი ცნობა: „ჩვენ გვინდა, რომ შენ ჩახვიდე ოტავაში, იქირავო მანქანა, წახვიდე ბროკვილის მიმართულებით (ქალაქია თითქმის ოთხმოცდაათი კილომეტრის დაშორებით) და 3 ოქტომბრის დღის პირველ სათზე იყო „გრენადირ ინ"-ის შესასვლელში. პიჯაკის მარცხენა ჯიბეში შენ უნდა გედოს დაკეცილი ჟურნალი „ლუკ". შენ გკითხავენ: „ხომ არ იყავით შემთხვევით ბრნოშიზ" კარგად იყავით!"

საბოტკას არავითარი სურვილი არ ჰქონდა მიეცა თავისი სახელი გამქირავებელი საავტომობილო ფირმისათვის. დაარღვია მიღებული ინსტრუქციები და ბროკვილში მატარებლით გაემგზავრა. ამ დროს სუკ-ის თანამშრომელმა ვიქტორ მიტროფანეს-ძე მიასნიკოვმა, რომელიც უკვე ერთი წელია კანადაში იმყოფებოდა საბჭოთა დილომატის სახელით, ჩააღწია თანამგზავრი მანქანებით ოტავიდან ბროკვილში. იმ კვირა დილით გზებზე თითქმის არ იყო არანაირი მოძრაობა და დიპლომატი ვერ ახერხებდა გაეჩერებია ოტავიდან ბროკვილში მიმავალი მანქანები. ამიტომ მან დაიგვიანა შეხვედრაზე ნახევარი საათით.

მიასნიკოვმა ნიშანი მისცა საბოტკას მიჰყოლოდა მას ერთ-ერთი დაბინძურებული ქუჩით, რომელიც მთავრდებოდა ბუჩქნარიანი შამბნარით შუა მინდორში. ვიდრე ისინი გზაზე მიდიოდნენ, საბოტკას ტანჯავდა სრულიად ფანტასტიური მოჩვენებები. მან წარმოიდგინა, რომ სუკ-მა გამოიცნო მისი შინაგანი გრძნობები და რომ ამ გასეირნების ბოლოს მას ტყვია ელოდება. მაგრამ მიასნიკოვს თავი ძალიან თავისუფლად და დამამშვიდებლად ეჭირა. „ანტონ, მომიყევი, როგორც ცხოვრობ?" წამოიწყო მიასნიკოვმა, — როგორ გყავს ოჯახი? როგორ გაქვს საქმე ფულის მხრივ?" იგი მოწონების ნიშნად თავს უქნევდა, როცა საბოტკა უყვებოდა მისი ცხოვრების შესახებ ედმონტონში. შემდეგ უთხრა, მოესმინა მისთვის ყურადღებით, და აუხსნა სამალავის მდებარეობა — ხის ქვეშ ბელანდიერის მახლობლად, სადაც სუკ-ი მომავალ თვეში აპირებდა 4000 დოლარის დამარხვას. „ის დაგეჭირდება დავალებებისათვის მომავალში", — უთხრა მან.

მიასნიკოვმა საბოტკას გადასცა ქაღალდის ნაგლეჯი, რომელზედაც ტორონტოს გარეუბანში მდებარე ერთი სახლის მისამართი ეწერა, და განაგრძო: „ვიდრე შენ აქვე, ახლოს იმყოფები, შეგეძლო ჩვენთვის რაღაცრაღაცეების გაკეთება. გაიგე, ვინაა ამ სახლის პატრონი და მიასნიკოვისაგან მიიღო; ერთ-ერთზე იყო სახლის მისამართი პორტ კრედიტში, ხოლო მეორეზე — ახალი ბინის მისამართი პრაღაში გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვის. მეორე დილით, როცა სადგურში საბილეთო სალაროს მოსცილდა, მან დაინახა სხვა კაცი, რომელიც ურიგოდ მიიწევდა ფანჯრისკენ და რაღაცას ეკითხებოდა მოლარეს. მას მოეჩვენა თითქოს მატარებელში ენახა ეს კაცი. თავისი სახლის სარდაფში საბოტკამ შეადგინა მიმართვის წერილი მიკროფილმში: „არის საფუძველი ვიფიქრო, რომ ჩემზე დააწესეს თვალთვალი კანადის უშიშროების აგენტებმა. უნდა

ჯ. ბარონი
სუკ-ი
საბჭოთა საიდუმლო აგენტების მუშაობა

შევწყვიტო ოპერაციები გარემოებათა გამორკვევამდე". მან მიკროფილმი მიაწება ძალიან თავაზიანი ფორმით დაწერილ წერილს და გაგზავნა იგი ახალ მისამართზე პრაღაში, რომლის დამახსოვრებასაც შეეცადა, ვიდრე დაწვავდა მიასნიკოვისაგან გადმოცემულ ქაღალდს. მაგრამ ცენტრიდან გადმოცემული მომდევნო რადიოგზავნილიდან ვერაფერი ვერ გაიგო წერილის მიღების შესახებ. საბოტკამ გაიმეორა მისი ვარაუდი მასზე თვალთვალის დაწესების შესახებ და კვლავ გაგზავნა წერილი პრაღაში, მაგრამ შემდეგ რადიოგადაცემებშიც პასუხი არ ჩანდა, მას ლანძღავდნენ მხოლოდ იმის გამო, რომ არ აიღო სამალავიდან 4000 დოლარი და არ გადასცა ინფორმაცია პორტ კრედიტში სახლის შესახებ.

როგორც აღმოჩნდა, საბოტკამ არახწორად დაიმახსოვრა პრაღაში ახალი მისამართი. ოთხი თვის შემდეგ ცენტრმა აცნობა მას, რომ მისი წერილები აღმოჩენილ იქნა ჩაუბარებელი წერილების დასტაში პრაღის ერთ-ერთ საფოსტო განყოფილებაში. სუკ-ი დაეთანხმა საბოტკას, რომ ჯერჯერობით, რაღაც დროით არ ღირს რაიმე ისეთის გაკეთება, რაც ეჭვს გამოიწვევს. ამას მოჰყვა რადიოგადაცემების შეწყვეტა, კავშირი ხორციელდებოდა მხოლოდ მიკროფილმების საშუალებით. საბოტკა პერიოდულად იღებდა შემდეგი შინაარსის წერილებს: „გილოცავთ, ამხანაგო, დაბადების დღეს და გითვლით საუკეთესო სურვილებს მომავალში ახალი დავალებების შესრულებაში. შენი მეგობრები".

გაგრძელება იქნება.

52

ჩვენ ავტორებმა

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
დავით გერძენიშვილი, რომან გოცირიძე, თამაზ დიასამიძე, გელა ეგანოვიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ნოდარ ნათაძე, შოთა ნადირაშვილი, თეიმურ პაატაშვილი, ივლიანე ხაინდრავა.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

შემოწმული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი: 40 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99
93-18-41